ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №486159

ნომერი: AR1100227

თარიღი : 25.12.2012

გაცემის თარიღი : 03.01.2013

გაცნობის თარიღი : 10.01.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეიმურაზ ღვანიძე პ/ნ 01010000724
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 3/5/7

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "ლაზათი და კომპანია" კოდი: 204393771

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204393771
- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს,,ლაზათი და კომპანია"
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თეიმურაზ ღვანიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: ლეილა ღვანიძე
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: იბა ,,აბანოთუბანი 2006"

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 4.07.2011
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/1748

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ 2011 წლის 4 ივლისის N01/1658 ბრძანებასა და Nნ/1748-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 4 ივლისს N01/1658 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - კრწანისი), გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის ი.ბ.ა. "აბანოთუბანი 2006"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა Nნ/1748-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2012 წლის 10 ივლისის ჩათვლით.

2012 წლის 3 ივლისის მოქ. ლ. ღვანიძის AR163355 განცხადების საფუძველზე სამსახურის N246196 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2011 წლის 4 ივლისის N01/1658 ბრძანებასა და Nნ/1748–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში და მშენებლობის დასრულების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2012 წლის 25 დეკემბერს AR1100227 განცხადებით მოგვმართეს მოქ. თ. ღვანიძემ და ლ. ღვანიძემ, რომლებიც ითხოვენ მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2011 წლის 4 ივლისის N01/1658 ბრძანებასა და Nნ/1748–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის N01/1658 ბრძანებასა და Nნ/1748-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით", შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2013 წლის 8 ივლისის ჩათვლით";

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის N01/1658 ბრძანებასა და Nნ/1748-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან და N246196 ბრძანებასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.